# ცნობის ფურცელი

№ 2272 სამშაბათი, 23 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2272

**გაზეთის ღირს:** წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

მასაჟის და საექიმო გიმნასტიკის

**კ უ რ ს ე ბ ი**

**გედევანიშვილის სამკურნალოში**

15 ოქტომბრიდან

მასაჟი — **გ. სობოლევსკი.**
ფიზიოლოგია — **ე. ფეოდოროვი.**
ანატომია — **ა. მალალაშვილი.**

(8—6. —4)

**ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 23 სექტემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება

**დ ე მ ო ნ ი**

ოპერა 4 მოქმედებად და 5 სურ., მუსიკა რუბინშტეინისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: რენე-რადინა, რადიონოვა და ლელინა; ბ-ნნი: რაისკი, ილიუშჩენკო, ამირჯანი, კლოუზერი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი გ. ესპოზიტო.

ანონსი: 24 სექტემბერს „ტრავიატა“ ვერდისა, 25 სექტემბერს—„რუსალკა“ დარგომიჟსკისა და 26—„ევგენი ონეგინ“ ჩაიკოვსკისა. ბილეთები იყიდება. (6.)

**ტ ფ ი ლ ი ს ი ს**

**კერძო სამკურნალო**

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ჟიჟინაძე**—კბილისა, 8—10 საათამდე.

**ლ. ივ. კამოევი.**—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

**ნ. ტ. მუღინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

**ი. პ. ახალშენიშვილი.**—კბილისა, 10 ს.—11 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.**—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

**ლ. მ. მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**გრ. გ. სობოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

**ვ. მ. მანსვეტოვი.**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.**—შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

**ე ქ ი მ ი**

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

**კბილის ექიმი**

**ი. პ. ახალშენიშვილი**

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

## საზღვარ-გარედ

**საფრანგეთი.** ქ. რუანში მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესი იყო გამართული. კონგრესზე, სხვათა შორის, გერმანიისა და საფრანგეთის ურთიერთობასა და ელზას-ლორენის საქმეზედაც ჰქონოდათ სჯა. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კონგრესს ამ საქმეზე შემდეგი რეზოლიუცია დაედგინა:

„საფრანგეთისა და გერმანიის დაახლოვება მეტად სასურველია; უამისოდ მკვიდრი ზავი და მშვიდობიანობა სწორედ შეუძლებელი საქმეა. უამისოდ საფრანგეთსა და გერმანიას შუა სადავო საქმეების გადაწყვეტა არ მოხერხდება, ამიტომ მშვიდობიანობის მე-XII კონგრესი ავალებს მომავალ კონგრესს (ეს კონგრესი ვერც გერმანიაში შეიკრიბება, ვერც საფრანგეთში) გერმანიისა და საფრანგეთის მოსარიგებლადა და დასაახლოვებლად საუკეთესო ღონისძიება აღმოაჩინოს“. ამასთანავე კონგრესმა მიანდო თავის ბიუროს ბერნში, ხსენებულ საქმის განსახილველად ყველაფერი დაამზადეთო.

◆ ამ დღეებში არმანტიერში (ჩრდილოეთ დეპარტამენტში) დიდი არეულობა მომხდარა. საქმე ასე ყოფილა: ერთს სახლის პატრონს თავის სახლიდან ერთი მდგმური, 12 შვილის პატრონი, ძალათ გაუგდია. ხალხს ძლიერა სწყენია ასეთი გულ-ქვაობა და ამ სახლთან ხელად 3 ათასი კაცი შეკრებილა. პოლიციამ ხალხის გაფანტვა მოინდომა თურმე, მაგრამ ხალხმა პოლიციელებს ყური არ უგდო, იმ სახლში შევარდა, საიდანაც უბედური მდგმური გაეგდოთ, ფანჯრები დაამსხვრია, სარეცხი და ფარდები დახია და მებელი ქუჩაში გადაყარა. სახლის პატრონი, იმისი ოჯახობა და პოლიციელები ძლივს გაექცნენ ხალხსა. ჟანდარმები და სასამართლოს მოხელენი მოვიდნენ და საქმე გამოიძიეს.

◆ ლაპარაკი მაროკოს საქმეზე დღესაც არ გათავებულა. ჟორესი წინანდებურად ამტკიცებს, სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს, მაროკო საფრანგეთის მფარველობას დაემორჩილოსო. ინგლისური გაზეთი „დეილი მეილი“-ც ემოწმება ჟორესს. „დეილი მეილ“-ს პარიზიდანა და ბერლინიდან დეპეშა მიელო, სახელმწიფოები მაროკოს საქმეზე მორიგდნენ და საფრანგეთს ნება მისცეს, მაროკო თავის მფარველობას დაუმორჩილოსო. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, ეს ცნობა ტყუილიაო. საფრანგეთის მფარველობაზე ლაპარაკიც კი არა ყოფილაო. სამინისტროს ზოგიერთი გაზეთიც მიემხრო. „მატენ“-მა დასწერა: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და ესპანია სულაც არ შეთანხმებულან მაროკოს საქმეზეო. საფრანგეთი მარტო თავის სამფლობელოს დაცვას ნდომობს და მაროკოს დაჭერა არას დროს არ უფიქრნიაო. მაროკოში გალაშქრების თაობაზე გაზ. „ტან“-ი სწერს: „მაროკოში გალაშქრება საფრანგეთის მთავრობას ფიქრადაც არ მოჰსვლია. მართალია სამხედრო სამინისტროს მაროკოში გალაშქრების პლანიცა აქვს შედგენილი, მაგრამ ამნაირი პლანები ყოველ სახელმწიფოს აქვს შედგენილი სიფრთხილის გულისათვის. ეტყობა, ჟორესს ვიღაცის შემწეობით ეს პლანი უნახავს და გადაუწყვეტია, საფრანგეთის მთავრობა ეხლავე ჯარს გაჰგზავნის მაროკოშიო. ჩვენ გერმანიაში გალაშქრების პლანიცა გვაქვს შედგენილი, მაგრამ განა გერმანიასთანაც ომს ვაპირობთ?“.

მთავრობაცა და იმისი მომხრე გაზეთებიც ასე ბეჯითად უარ-ჰყოფენ ჟორესის ცნობას, მაგრამ საფრანგეთისა თუ უცხო ქვეყნების საზოგადოებას-კი უფრო ჟორესისა და „დეილი მეილი“-ს ცნობა უჯდებათ ჭკუაში.

**მაკედონია.** ფრანგულ გაზ. „ჟურნალ“-ის თანამშრომელს სოფიაში ბოლგარიის პირველ მინისტრ გენერალ პეტროვთან მაკედონიის საქმეზე უსაუბრნია. პეტროვს უთქვამს:

„ოსმალეთის კომისარმა შეგვატყობინა, ხონთქარი ბოლგარიისაგან წარდგენილ რეფორმების პროგრამის ასრულებას აპირობსო. ეს პროგრამა ბოლგარიის მთავრობამ შემოდგომაზე წარუდგინა ხონთქარს. თუ ხონთქარს მართლა სწადიან ამ პროგრამის ასრულება, მაშინ, იმედია, მშვიდობიანობა აღარ დაირღვევა, მაგრამ ბოლგარიის მთავრობას არა სჯერა ოსმალეთის გულწრფელობა. სანამ ოსმალეთის მთავრობა მაკედონიისა და ადრიანოპოლის ვილაეტში მშვიდობიან ხალხის გაწყვეტასა და სოფლების დაწვაზე ხელს არ აიღებს, ჩვენც არც ერთს იმის დაპირებას არ დავიჯერებთ. ოსმალეთის გულწრფელობა როგორ უნდა დავიჯეროთ, როცა კარგად ვიცით, რომ ოსმალეთის ჯარი დღესაც მხეცურად ექცევა მაკედონელ ბოლგარებს და ვხედავთ, რომ ბურგასის ოლქში 11 ათასზე მეტი გამოქცეული ბოლგარი მოვიდა? ბოლგარიას ომი არა სწადიან, მაგრამ თუ ოსმალები ამას იქითაც ისე უდიერად მოექცევიან მაკედონიელ ბოლგარებს, როგორც აქამდე ექცეოდნენ, ბოლგარიის მთავრობა იძულებული იქნება სიფრთხილეზე ხელი აიღოს, ხალხის სურვილი აასრულოს და წამებულ მოძმეებს დახმარება გაუწიოს... დიდმა სახელმწიფოებმა პირობად დაგვიდეს, ოსმალეთს ბოლგარიაში შემოსევის ნებას არ მივსცემთო. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ოსმალეთს რომ საკმაო ჯარი ჰყავდეს, უსათუოდ დაგვეცემოდა... ამბობენ, ჯერ აჯანყება უნდა მოისპოს და მერე რეფორმები ასრულდესო. მაგრამ რეფორმების ასრულებას რა კავშირი აქვს აჯანყების ჩაქრობასთან? ეს შემცდარი აზრია. ოსმალეთს სრული ნება მისცეს, როგორც გერჩიოს, ისე მოსპე აჯანყებაო. ოსმალეთიც მიჰყვა და ქრისტიან ხალხს პირაღებით ჰჟლეტავს. ოსმალეთი ყოველთვის ასე იქცევა: როცა რომელიმე ხალხი ემტერება, ადგება და მუსრს გაავლებს... ოსმალეთის ჯარი მშვიდობიან ხალხს უფრო ცუდს დღეს აყენებს, ვიდრე აჯანყებულებს. სომხეთში ოსმალებმა ერთბაშად ამოსწყვიტეს ხალხი, მაკედონიაში კი ნაწილ-ნაწილ სწყვეტენ. ევროპას თითქო უნდა, რომ მაკედონიის ამბებს დინჯად, გულგრილად ვუყუროთ. ევროპა თითქო გვეუბნება: ან ომი გაბედეთ, ან თქვენის მოძმე ხალხის გაწყვეტაზე ხმას ნუ ამოიღებთო. ჩვენც მალე გადავსწყვეტთ, თუ რა გზას დავადგეთ. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ერი, კერძო კაცივით, ხანდახან მეტად სახიფათო საქმეს გაჰბედავს ხოლმე. ჩვენის მოძმეების გაჟლეტისა და საცოდავ ყოფის ცქერას, ისევ ოსმალეთთან ომი არ გვირჩევნია? სახელმწიფოებმა რომ ერთი ანიშნონ, ან ზღვაში ერთი დემონსტრაცია მოახდინონ, საკმარისი იქნება: ოსმალეთი მაშინვე ხელს აიღებს თავის მხეცობაზე. მაგრამ სახელმწიფოები კრინტსაც არა სძრავენ. ეს რომ მაგონდება, სწორედ გული მიკვდება.“

## ახალი ამბავი

◆ კვირას, 21 სექტემბერს, ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში, ბ-ნ ლოპატინსკის თავმჯდომარეობით, მოხდა **საარხეოლოგო საზოგადოების კრება.** კრებამ პირველად მოისმინა მოხსენება მ. ჯანაშვილისა, რომელიც საზოგადოების მინდობილებით ამას წინად აფხაზეთის სოფელ დიხაზორგაში გაემგზავრა ძველ ნაწერების წასაკითხავად. ჯანაშვილის გამოკვლევით წარწერა ეკუთვნის XI—XII საუკუნეს. გზად ჯანაშვილს დაუთვალიერებია აგრეთვე რუხისა, შხეფისა და ახლო-მახლო სოფლების ძველი შენობანი. დიხაზორგის ნანგრევებზე წარწერა ქართულია და ეკუთვნის თამარ დედოფლის დროს.

შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა წერილი საზოგადოების ერთის წევრისა, რომელიც საზოგადო კრებას აცნობებდა, რომ სოფელ ანანურსა და იმის ახლო-მახლო სიძველენი, რომელთა დიდი არხეოლოგიური მნიშვნელობა აქვთ, ცუდ მდგომარეობაშიაო. ზოგს მკვიდრნი აფუჭებენ, ზოგს გამვლელ-გამომვლელნი. ექვთიმე თაყაიშვილმა მოიყვანა ერთი მაგალითი, თუ როგორ ექცევიან საისტორიო-საარხეოლოგიო განძებს თვით სასულიერო წოდების წარმომადგენელნი. თაყაიშვილს დაუთვალიერებია საფარის მონასტერი. აქ, სხვათა შორის, პატარა ეკლესიაა წმ. მარინეს სახელობაზე. ეკლესიაში დღევანდლამდე მშვენივრად დაცულია ქართველ გმირთა სურათები კედლებზე. ამ მონასტერში მცხოვრებ რუს-ბერებს ეკლესიის კედლებში ლურსმები ჩაუსვამთ, თოკები გაუბამთ და ეხლა ამ თოკზე სარეცხებსა ჰფენენ თურმე გასაშრობად. კრებამ დაადგინა, სთხოვოს გუბერნატორებს დაევალოს პოლიციის წარმომადგენელთ, რომ მეტის სიფრთხილით მოექცნენ ადგილობრივ საისტორიო და საარხეოლოგიო ნაშთებს და ნება არ მისცენ ხალხს გაფუჭება-გაოხრებისაო. დასასრულ პრივატ-დოცენტმა ა. ი. გრენმა წაიკითხა ორი მოხსენება წალკაში მოგზაურობის შესახებ. გრენს გაუთხრია რამდენიმე ადგილი და უნახავს 46 სხვა-და-სხვა ნივთი. გრენს ეს ნივთები 1115 წლის ნაწარმოებად მიაჩნია. კრება დასრულდა ნაშუადღევის 3 საათზე.

◆ დღეისთვის დანიშნულია **კავკასიის საგეოგრაფო საზოგადოების კრება.** სხვათა შორის, კრება მოისმენს ზავადსკის მოხსენებას დაღესტანში მოგზაურობის შესახებ. კრება მოხდება სამხედრო შტაბის სადგომში, საღამოს 8 საათზე.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ღამის თავშესაფართან განზრახულია **სამუშაო სახლის დაარსება.** 21 სექტემბერს ქ-ნ ავეტისოვის მიერ შეწირული საქარხნო მოწყობილობანი დაათვალიერა თავშესაფარების გამგე კომისიამ. კომისიამ მთელი შეწირული ქონება დააფასა 2,000 მან. ქ-ნ ავეტისოვი თხოულობს, ვიდრე ცოცხალი ვიქნები, სარჩენად თვეში 20 მან. დამინიშნეთო. კომისიამ გამოიანგარიშა, რომ ქარხნის მოწყობა ქალაქს დაუჯდება, 15,000 მანეთად.

◆ ქუთაისის მაზრაში მამულ „კლო-ეგურულ“-ში მეღვინეს ტიებოს გაუმართავს **ამერიკულ ვაზის სანერგე** და საცდელი მინდორი. სანერგეში მიუღია ადგილობრივ მცხოვრებთაგან 10 კაცი, რომელნიც პრაქტიკულად სწავლობენ ვენახის მოვლა-მოშენებას და ღვინის დაყენებას. პრაქტიკანტებს ხელმძღვანელობას უწევს მეღვინე დ. გ. მდივანი, რომელსაც სწავლა დაუსრულებია ნიკიტინის სასწავლებელში. პრაქტიკანტებს ასწავლიან აგრეთვე ამერიკულ ვაზის დამყნასაც. ყოველივე ეს ტიებომ შეატყობინა მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს, აცნობა, თუმცა მსურველი ბევრია, მაგრამ სახსარი არა მაქვს 8—10 პრაქტიკანტზე მეტი მივიღოო და სთხოვა გაუგზავნოს მოსწავლეთათვის ქართულ და რუსულ ენაზე გამოცემული წიგნაკები მეღვინე-მევენახეობის შესახებ.

◆ შარშან ტფილისის ქალაქის გამგეობამ ლაპარაკი აღძრა **მიხეილის პროსპექტზე** წყლის არხის გაუქმების ან გადაკეთების შესახებ. რადგან ეს საქმე დღემდე არ მოუგვარებიათ, გუშინ-წინ გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავს, შემატყობინეთ რა მდგომარეობაშია ეს საქმე და რა აზრს დაადგა გამგეობაო. ქალაქის მოურავმა აცნობა გუბერნატორს, ქალაქის თვითმმართველობა მო-

წადინებულია არხის გაუმჯობესებას, მაგრამ ვერ ასრულებს ამას, უფულობისა გამო, და აგრეთვე იმიტომ, რომ არხი კერძო კაცებისაა და გამგეობას ნება არა აქვს მათდა დაუკითხავად არხის გადაკეთებას შეუდგეს.

◆ მთავრობამ დაამტკიცა წესდება **ბათუმის ქალაქის** ურთი-ერთ დამზღვევ საზოგადოებისა.

◆ **ტფილისის ქალაქის მუშებმა სარქის** აკოფოვმა და გრიქორ აზინოვმა 20 სექტემბერს შესჩივლეს ქალაქის მოურავს, რომ ამ დღეს პოლიციის პირველ ნაწილის უბნის ზედამხედველმა და პოლიციელებმა სრულიად უდანაშაულოდ დაგვიჭირეს დილის 9 საათზე, გვცემეს და ნაშუადღევის 2 საათამდე დაგვაპატიმრეს მშიერ-მწყურვალიო. ეს ამბავი ქალაქის მოურავმა შეატყობინა პოლიცმეისტერს და სთხოვა აცნობოს, რა განკარგულება მოახდინა პოლიციელთა ასეთ საქციელის გამო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, 150 მანეთი გადასდოს იმ მასალის შესამზადებლად, რომელიც საჭიროა **მუხრანის ხიდის** კონკურსის გამოსაცხადებლად. გეგმის შედგენის შემდეგ გამგეობა გამოაცხადებს თვით კონკურსს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 20 სექტემბერს განიხილა **ნავთლუხელების** (80 კაცის) **შუამდგომლობა** წყლის მილის გაფართოვების შესახებ. გამგეობამ დაადგინა შეიტანოს 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 5567 მან. ნავთლუხელებისათვის საკუთარ წყლის გასაყვანად. შუამდგომლობა ნავთლუხელებმა რამდენისამე თვის წინად აღძრეს.

◆ ქალაქის გამგეობამ **შეიმუშავა სავალდებულო დადგენილებანი** ტრაქტირებისა და მაგარ სასმელების დუქნების ქუჩებზე განაწილების შესახებ. გამგეობამ დადგენილებანი შეიმუშავა ტფილისის პოლიცმეისტრის შეთანხმებით.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 20 სექტემბერს განიხილა მოხსენება ქალაქის ლომბარდის დამფასებლისა, ჯამაგირის მომატებისა და თანაშემწის დანიშვნის შესახებ. გამგეობამ მოხსენება უარჰყო და ამასთანავე დაადგინა, დაწესდეს ლომბარდის დამფასებლის კანდიდატის თანამდებობა, რომელმაც საქმეები უნდა შეასრულოს დამფასებლის ავადმყოფობის დროს. კანდიდატს წელიწადში მიეცემა 120 მან.

◆ ტფილისის დედათა მე-3 გიმნაზიის სამზრუნველო საბჭომ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ სამინისტროს დადგენილებისამებრ ქალაქის გამგეობებს პროგიმნაზიებისა და გიმნაზიების სამზრუნველო საბჭოები არავითარ გადასახადს არ აძლევენ და ამიტომ გთხოვთ, ჩვენი გიმნაზია განთავისუფლოთ დასაფასებელ გადასახადის დარჩენილ ფულისაგანაო.

◆ 20 სექტემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა გადასდოს 400 მანეთი ფული პოლიციის მე-9 ნაწილში, არსენალის ქუჩის გვერდის ამოსაყვანად, რომელიც წელს წყალდიდობამ ჩაანგრია და ურამლისოდაც ღამე ამ ქუჩაზე სიარული სახიფათოა.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეატყობინა მე-10 ნაწილის ბოქაულს, რომ ბარბარე ლორთქიფანიძეს დაუჭერია სასმელ სტოლებით და სკამებით ქალაქის ადგილი დიდუბის ქუჩაში და წინადადება მიეცით 7 დღის განმავლობაში განთავისუფლოს ქალაქის ადგილი, თორემ გამგეობა სხვა საშუალებას მიჰმართავსო.

◆ ამა წლის 1 იანვრიდან 22 სექტემბრამდე ტფილისის სააუქციონო ზალას სხვა და სხვა ნივთების გაყიდვით შემოსვლია 28063 მან.

## ქუთაისის ახალი ამბები

◆ 16 სექტემბერს, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილის თავ. დ. ო. ნიჟარაძის მოწვევით დეპუტატთა საკრებულოში თავი მოიყარა სათავად-აზნაურო სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტის რამდენიმე წევრმა. სხდომის საგანი იყო, ისეთი საშუალება გამოეძებნათ, რომ სკოლა მკვიდრს ნიადაგზე დააყენონ, რომ მუდამ დღე დახურვა არ ემუქროდეს სკოლას კლასების მომატების ნაცვლად. თავ. დ. ო. ნიჟარაძემ გააცნო სხდომას, რა აზრისაა სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ამ სკოლაზე. ორგვარი აზრი გამოითქვა: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ სკოლა გადაეცეს თავად-აზნაურობას, როგორც წოდებას, რომელსაც ნება აქვს იქონიოს ყოველ ხარისხის სასწავლებელი; მეორენი კი იმ აზრისა იყვნენ, რომ დაარსდეს ახალი საზოგადოება, ტფილისის საზოგადოების მსგავსად, რომლის სახელზედაც სკოლა უნდა არსებობდეს. ბოლოს ამ ორ საშუალებათაგან ერთის ამორჩევა და თავად-აზნაურთა მომავალ საგანგებო კრებაზე თავის აზრის წარდგენა მიენდო ისევ სამზრუნველო კომიტეტს, რომელსაც—ვიტყვი სხვათა შორის—მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ ჰქონია სხდომა, მაგრამ მაშინაც ვერაფერი გაუკეთებია, რადგან წევრთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადებულა.

◆ როგორც გავიგეთ, ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს არ დაუმტკიცებია ქალაქის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ სავაჭროები კვირაობითა და უმთავრეს დღესასწაულებში მთელის დღით დაიკეტოს. საკრებულოს სამის ხმით ორის წინააღმდეგ ისევ ძველი წესი დაუტოვებია.

◆ 13 სექტემბრის სხდომაზე „ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების“ გამგეობამ საჭიროდ დაინახა, გაჰგზავნოს პეტერბურგს საზოგადოების შემოსავლის წყაროს აღმოსაჩენად გამგეობის თავმჯდომარე ქ-ნი ტ. ი. ნაზაროვი, რომელიც ამ თვის დამლევს კიდეც გაემგზავრება რუსეთისკენ. შესაძლოდ ჰპოვა დაეკმაყოფილებინა რამდენისამე ღარიბ ოჯახის თხოვნა და აღმოეჩინა მათის შვილებისათვის შემწეობა ფულით. ამავე სხდომაზე საზოგადოების ძველმა ხაზინადარმა ნ. გ. ჭიჭინაძემ საზოგადოების შემოსავალ-გასავლის დავთრები და სხვა ანგარიშები გადასცა ახალს ხაზინადარს ი. ფ. გრენგოლმის ასულს. გამგეობის წევრის დ. მდივნის ნაცვლად, რომელმაც თავი დაანება, მოწვეულ იქმნა დ. ნ. ავალიანი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საანგარიშო წელს საწევრო ფული ძლიერ ცოტა შემოსვლია საზოგადოებას, რის გამო საზოგადოების წინსვლა შეფერხებულია. წელიწადი თავდება და მხოლოდ რამდენიმე მანეთია სულ შემოსული. გამგეობას უკვე აუღია ნებართვა და ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში საზოგადოების სასარგებლოდ საღამოს გამართვას აპირებს.

◆ ბ-ნმა ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მიერ დადგენილი ხორცის ნიხრი, წინანდელთან შედარებით თითო კაპეიკით ნაკლები გირვანქაზე.

◆ ქუთაისში უკვე დაიწყეს სოფლებიდან ყურძნის ჩამოტანა. ფუთი ყურძენი ღირს ოთხი აბაზიდან შვიდ აბაზამდე. თუმცა წელს იმერეთში საზოგადოდ ყურძნის გვარიანი მოსავალია, მაგრამ ფასი ისევ დიდია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ღვინის საწყობების პატრონები იტაცებენ, რაც სოფლებიდან ყურძენი შემოდის, რომ ათასგვარად შეაზავონ, ერთი ფუთი ყურძნიდან ორი ფუთი ღვინო მიიღონ და შემდეგ მამასისხლად მიჰყიდონ მცხოვრებთ.

◆ ღვამშვისა და პოლიციის ქუჩების ცუდი მდგომარეობა „ცნობის ფურცელ“-შიაც იყო აღნიშნული. ამ დღეებში გუბერნატორს თვითონ დაუთვალიერებია ეს ქუჩები და განკარგულება მოუხდენია, რაც შეიძლება, მალე შეუდგნენ შეკეთებას. ქალაქის გამგეობას თავის მხრივ გაუწერია ამ ქუჩების მცხოვრებლებზე გადასახადი და გადაუცია პოლიციისთვის, რომელიც უკვე შესდგომია ფულის შეკრებას. მცხოვრებნი თხოულობენ, რადგან გაზაფხულამდე ქუჩების კეთებას მაინც ვერ შეუდგებით, გადასახადი სამ ნაწილად გაგვიყავით და შეგვაძლებინეთ შემოტანაო. თხოვნა საფუძვლიანია: ზამთარში ქუჩების რიყის ქვით მოკირწვლა მართლაც არ შეიძლება, მაგრამ ამ მდგომარეობაში მათი დატოვებაც ყოვლად შეუძლებელია: ისე მაინც უნდა შეაკეთოს ქალაქმა, რომ ზედ კაცს გავლა შეეძლოს.

## რუსეთის ქრონიკა

◆ ფინლიანდიის გაზეთის ცნობით ტავასტგუსის გუბერნიაში 230,900 მარკა ჯარიმა გადაახდევინეს 20 საზოგადოებას და 3 საზოგადო საკრებულოთა თავმჯდომარეთ, რომელთაც უარი განაცხადეს 1902 წელში სამხედრო ბეგარის საკრებულოსთვის წევრთა არჩევაზე.

◆ ხარკოვის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე სოფ. ზგუროვკის 11 გლეხთა შესახებ, რომელთაც ადმინისტრაციის წინააღმდეგობა ჰბრალდებოდათ. გლეხები ძლიერ მცირე მიწა-წყლის პატრონები ყოფილან: თავის საქონელს ამ ბოლო დრომდის მემამულეთა ადგილებში აძოვებდნენ და იჯარას აძლევდნენ მემამულეთ. ახლა უკანასკნელთ იჯარის პირობების შეცვლა მოუსურვებიათ; გლეხები არ დასთანხმებულან, რის გამო მემამულეთ განუცხადებიათ იმათთვის, ჩვენს ადგილებში საქონელს ნუღარ გაატარებთო. გლეხებს მაინც გაურეკიათ თავისი საქონელი. მემამულეთ „ურიადნიკისათვის“ ეცნობებიათ; და ეს ურიადნიკი დარაჯებთან ერთად თავს დასცემია გლეხების მწყესებს და გაურეკია საქონელი. სოფლელებს რომ ეს ამბავი შეუტყვიათ, შეკრებილან ორას კაცამდის, წინააღმდეგობა გაუწევიათ ურიადნიკისა და მის მხლებელთათვის და საქონელი არ დაუნებებიათ.

სასამართლო პალატამ მიუსაჯა ამ არეულობის მოთავეთ, 7 კაცს, დაპატიმრება $1^{1}/_{2}$ თვიდან 3 კვირამდე, 4 კაცი კი გაამართლა.

◆ ყველა იმ სტუდენტ-ქალებს, რომელნიც ამ გაზაფხულზე დაითხოვეს სამკურნალო ინსტიტუტიდან, საერო განათლების მინისტრის განკარგულებით, ნება მისცეს დაბრუნდნენ და ეგზამენები დაიჭირონ ინსტიტუტში.

◆ განზრახვა აქვთ, პეტერბურგის ქალაქის თავად ფინანსთა მინისტრის ვიტტეს ამხანაგად ნამყოფი ვ. ი. კოვალევსკი აირჩიონ.

◆ კიევის სტამბები დაუთვალიერებია სანიტარო კომისიას პოლიციასთან ერთად

# ფელეტონი

### ბავშვების მოვლა

(პედაგოგიური წერილები ქართველ დედასთან)

წერილი 5.

მე ძალიან ნასიამოვნები დავრჩი, ქალბატონო ჩემო, თქვენი უკანასკნელი წერილით, საიდანაც შევიტყე, რომ ეხლა თქვენი ემიკო კარგად არის, აღარაფერს იტკივებს და „მხიარულად გვატარებინებს დროსაო“. წარმოუდგენელია ეხლა თქვენი დამშვიდებული სახე, თქვენი დაწყნარებული გული! ახლა ბიჭუნა კარგად გყავთ და თქვენც, უეჭველია, კარგადა გრძნობთ თქვენს თავს, გული საგულეში გაქვთ და აღარ იტანჯებით თქვენი შვილის ამონაკვნესით, როგორც ამასწინად „გულ-ამოსკვნით“ მიამბობდით მის ავადმყოფობაზედ. ეხლა თქვენი ემიკო, უეჭველია, იცინის კიდეც, მოძრაობაშია, ლუღლუღებს, გაფაციცებით აკვირდება ყველაფერს და ყველა შინაურები აღტაცებაში მოჰყავს მის კასკასსა და მოძრაობას! მართლა რომ ბედნიერი დრო დაგდგომიათ და კარგადაც უნდა ისარგებლოთ ამ ბედნიერი შემთხვევით: გააძლიერეთ უფრო თქვენი ყურადღება, ნუ მოაკლებთ მაგას თქვენს დაკვირვებას, თქვენს ზრუნვასა და მოვლასა, თორემ უამისოთ თქვენ დიდს შეცდომაში შეხვალთ და ერთი თვალ-საჩინო შეცდომა კიდეც აღმოვაჩინე თქვენს წერილში. „ემიკო ეხლა კარგადა მყავს და ამისათვის ბანაობა მეტად მიმაჩნიაო“, იწერებით თქვენ და ეს თქვენი სიტყვები დიდს შეცდომად მიმაჩნია.

ნუ თუ თქვენ, ქალბატონო ჩემო, ვერ მიმხვდარხართ, რომ ბავშვი დაბადების დღიდანვე საჭიროობს საბანელს და ეს ბანაობა უნდა კარგა ხნობამდის გრძელდებოდეს კიდეც. ბანაობა აშორებს ბავშვს ხოჭოიან ქერცლს, რომელიც ტყავის ქონისაგან შესდგება; იგი აერთებს ახალ-მოვლენილ არსებას ახალ-პირობებთან, ჰკურნავს იგი მრავალი სენისაგან, ამხნევებს მას, უმატებს ძალას, უძლიერებს მადას და კარგ ძილსაც ხელს-უწყობს ხოლმე. მაგრამ აქ საქმე იმაშია, თუ რა წესები უნდა დავიცვათ ამ საქმეში? რადროს ვაბანაოთ ბავშვი? როგორ წყალში? საბანელში, ბატონო ჩემო, წყალი ცხელი არ უნდა იყვეს და არც თუ ცივი და ამ ორივეს შესატყობლად საჭიროა იხმაროთ ხოლმე ტერმომეტრი, რომელიც ეხლა ადვილი მოსაპოვებელია და ადვილად სახმარებელიც. წყალი საბანელში არ უნდა აღემატებოდეს 28°. მეტის-მეტი ცხელი წყლისაგან ბავშვი მალე ცივდება, სურდო ჰხვდება, ხანდახან მთელს ტანზედ ნასიცხსაც გაგამოაყრის ხოლმე და არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც ბავშვი კიდეც იკრუნჩხება ამ ცხელის წყლისაგან. ექიმების აზრით, კარგია რომ ბავშვი დილით შევაჩვიოთ ბანაობას და საღამოთი კი ასე ზედა-პირად დავჰბანოთ ხოლმე, რადგანაც ამგვარი ბანაობითაც ბავშვი კარგად იძინებს. მაგრამ ამასაც ნუ დაივიწყებ, ქალბატონო, რომ ისეთი ბავშვებიც მოიპოვებიან, რომელთაც არ უყვართ ბანაობა და მათზედ ცუდადაც მოქმედობს იგი: ამათ მალ-მალ უცივდებათ ლორწოიანი ნაწილი ცხვირისა და ძალიან ხშირად ემართებათ ხოლმე სურდო. ესენი კვირაში მხოლოდ 1—2 ჯერ უნდა იბანებოდეს და ისიც ძალიან მოკლეხნით ასე 5 წუთით. უკიდურეს შემთხვევაში იგინი თბილი წყლით დაბანეთ ხოლმე ზეზეურად დილითა და საღამოთი.

აქ უფრო საყურადღებოდ მიმაჩნია ბავშვების თავის ბანა და მისი ტყავის გასუფთავება. ბავშვის თავ-დაუბანლობამ იცის ხოლმე, რომ შუბლსა და კეფაზედ და ხანდახან მთელ თავზედაც დააყრის ხოლმე ჩირქიან მუწუკებს და ეს მუწუკები აბრკოლებენ თმის ამოსვლას და ტყავის აღმორთქვლას. მათი უყურადღებოდ დატოვებამ შეიძლება ეს სენი ავ-ზნიან მუწუკებადაც გადაუქციოს. და ყოველ ამის ასაცდენად აი ეს საშუალება იხმარეთ ხოლმე: *) დასარბილებლად მუწუკებისა წაუსვით ბავშვს ზეითუნის-ზეთი, ან გლიცერინი და ან კვერცხის ცილა, წასმული თავი უნდა ტილოთი დაუფაროთ და ერთი საათის შემდეგ დაბანოთ თავი კარგი საპნით. ეს უნდა განმეორდეს, ვინემ ბავშვი არ განთავისუფლდება ამისგან.

**პროცესი ბანაობისა**: *) ბავშვი გაახვიეთ თივთიკის წმინდა შალში ან ხაოიანი ბამბის ნაქსოვ ზეწარში (ტილოსი ცუდია, რადგან მალე ნელდება), ჩააწვინეთ საბანელში ისე, რომ მისი თავი ცოტა აწეული იყოს, რომ თვალებს წყალი არ მოხვდეს და ყურებში არ ჩაუვიდეს; დანარჩენი ნაწილები კი სხეულისა უნდა სრულიად დაფარული იყვეს წყლით, რადგანაც ცალ-ცალკე ყოველი ნაწილი ადვილად ნელდება და ბავშვი ხშირად ცივდება. ერთი სიტყვით საბანელში, წყალი იმდენი უნდა იყვეს, რომ მასში დაიმალოს ბავშვის მუცელი, ფეხები, კოჩორი და ყელი, მხოლოდ პირისახე უნდა იყვეს უწყლოდ. თავზედ კი ხამუშ-ხამუშ უნდა თბილი წყალი ესხმოდეს. საბანელში პირველად ფეხები უნდა ჩაუწყოთ და ნელ-ნელა მერე მთელი ტანი; მერე ზეწარი მოაშორეთ თავიდან, ამოასველეთ წყალში და ისევ დააფარეთ თავზედ.

ამ საზოგადო ბანაობის გარდა, არ დაგავიწყდეთ ზოგიერთ ადგილების გაბანვაც, მაგ. იღლიებისა, წვივებისა, საჯდომისა, სავაჟკაცისა და სხ. ყოველ დაბანვაზედ თვალები უნდა იწმინდებოდეს ან ღრუბლით, ან წყალში დასველებულ სუფთა-ნაკუწით. ბანაობა უნდა გრძელდებოდეს არა უმეტეს 15 წამისა. ამის შემდეგ ამოიყვანეთ ბავშვი საბანელიდან და თბილ და მშრალ ზეწარში შეახვიეთ, დააწვინეთ ბალიშზედ და დაუწყეთ მშრალება, მერე ჩააცვით მშრალი პერანგი და რამდენიმე ხნის შემდეგ მიეცით ძუძუ. ბავშვს ამის შემდეგ მშვენიერად ჩაეძინება.

მეორე კითხვას, რომლის განმარტებასაც ასე გულითა მთხოვთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, სრული კავშირი აქვს ზემორე განმარტებულ კითხვასთან და მეტის-მეტად საინტერესო კითხვადაც მიმაჩნია ეს კითხვა. „საჭიროა თუ არა, ბავშვი განძრახ შევაჩვიოთ სიცივეს და მისგან წარმომდგარ სასტიკ პირობებს, რომ მისგან კაჟივით ბიჭი, ყველაფრის ამტანი ვაჟკაცი გამოვიდესო“, როგორც თქვენ იწერებით. ამ საგნის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, ბევრი რამ თქმულა, მაგრამ საგანი ისევ გამოურკვეველი დარჩენილა, გადაუწყვეტელი; თუმცა კი ერთმა თხზულებამ, რომელიც ეხლახან გამოვიდა და რომელიც სასიქადულო ნაწარმოებად გამოაცხადა კრიტიკამ, ბევრი ნათელი მოჰფინა ამ თქვენს საკითხს და თამამად გირჩევთ, ქალბატონო, მის წაკითხვას. ამ თხზულებასა ჰქვიან: **„ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა ბავშვისა“** და ეკუთვნის შვეიცარიელ პედაგოგს მორიც ფლერისს *). და ვინემ ამ წიგნს მოიპოვებდეთ, ნება მომეცით გაგიზიაროთ მისი შეხედულობა ამ

---

*) იხ. Мать и дитя, Жука და Золотая книжка Аммона.

*) Мать и дитя, Жука და вскармлив. дѣтей въ первый годъ жизни

*) Физическое и нравст. воспитаніе ребенка Морица Флери.

და აღმოუჩენია, რომ უმრავლესი სტამბა ერთობ ცუდადაა მოწყობილი, ნოტიო და ტალახიან სარდაფებშია გამართული. უბედური შემთხვევაც ხშირი ყოფილა სტამბებში, ვიწროობის გამო.

✦ ქ. ბორისოგლებსკში შემდეგი განცხადებაა გაკრული.

2 სექტემბერს რკინის გზის სახელოსნოების მუშები გაიფიცნენ, რის გამო სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზების გამგეობა აცხადებს, რომ სახელოსნოები დახურულია, და იწვევს მუშებს ანგარიშის გასასწორებლად.

✦ ნოვოჩერკასკში საეკლესიო დღესასწაულზე მთვრალ ხალხს საშინელი ჩხუბი აუტეხნია, რომელმაც რამდენიმე საათი გასტანა თურმე. პოლიციელებს ვერაფერი გაუწყვიათ. დაშავებულთა რიცხვი დიდია.

✦ გჟატსკის სააქციზო გამგეობას საიდუმლო განკარგულება გაუგზავნია სახაზინო ღვინის სავაჭროებში, თვალ-ყური ადევნეთ არაყის მყიდველებს, ვინ რამდენს ყიდულობსო. ეს განკარგულება „დნეპრ. ვესტ“-ის კორესპონდენტს შეუტყვია და წერილი დაბეჭდია ამის შესახებ გაზეთში, რომელსაც ძლიერ აუღელვებია სააქციზო გამგეობა. ამ უკანასკნელს მიუნდვია თავის მოხელეთათვის კორესპონდენტის ვინაობის შეტყობა. სააქციზო მოხელეები გულ-მოდგინედ დაეძებენ თურმე კორესპონდენტს.

## შინ და გარედ

9.

„ჩერნომ. ვესტნიკ“-ი მეტად გაბრაზდა, როდესაც სოხუმიდან ცნობა მოუვიდა, ბ. აბულაძე ქალაქის თავად აირჩიესო.

ჯერ სანამ არჩევნები მოხდებოდა პალმის გაზეთი ბევრს ეცადა დაეშინებია სოხუმელები: არამც და არამც არ აირჩიოთ აბულაძე, რადგან ის თედო სახოკიას კანდიდატი არისო, სახოკია-კი რაც ბიჭი ბრძანდება, ხომ იცითო. სოხუმელებმა ყური არ ათხოვეს პალმის ბოდვას და წარდგენილ კანდიდატებიდან აირჩიეს ის, რომელიც მათის აზრით საუკეთესო იყო.

ყოველ გონიერ კაცს, და რასაკვირველია, გაზეთსაც ამ შემთხვევაში უნდა აინტერესებდეს საკითხი: გამოდგება თუ არა ბ. აბულაძე ქალაქის თავად; შესწევს თუ არა ძალა რიგიანად მოუაროს ქალაქის მეურნეობას, ენერგიულად და პატიოსნად უმოუროს ქალაქს? პალმისთვის ეს საკითხი სრულიად უმნიშვნელოა. ის სწერს: შესაძლებელია ბ. აბულაძე კარგი მოურავიც გამოდგეს, მაგრამ მაინც არ გვინდა, რადგან თედო სახოკიამ გამოსძებნაო. რას ნიშნავს „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის ეს უცნაური დაჟინება და თედო სახოკიას ათვალწუნება, ჩვენმა მკითხველებმა უკომენტარიოდაც იციან. ვისაც უნდა გამოეძებნა კანდიდატი, თუ იგი **ძე** ან **შვილი** იქნებოდა, პალმი მაშინვე ამხედრდებოდა მის წინააღმდეგ. თედო სახოკია აქ არაფერ შუაშია, ხოლო „ჩერნომ. ვესტნიკ“-ი სრულიად სხვა განზრახვით უკავშირებს ერთმანეთს ამ ორ გვარს. ეს განზრახვა და ეს ხერხიც მეტად სამარცხვინოა; მხოლოდ ყოველ პრინციპებს გარეშე მყოფი ადამიანი იკადრებს ამ ნამდვილ დაბეზღებას, რომელსაც კადრულობს „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის ვითომ და პუბლიცისტი. თედო სახოკიას მიმართულება ყველამ კარგად იცისო, ბრძანებენ პალმები და რათა თავის საზიზღარ დაბეზღებას ხაზი გაუსვან, უმატებენ: ეს ის სახოკია არის, რომელიც ამას წინად გამგეობის წევრად არ დაამტკიცა მთავრობამაო.

აი რა ყოვლად შეუწყნარებელ ხერხით ცდილობს პალმი „ვისიც ჯერ არს“ იმის წინაშე ყოველი ნდობა დაუკარგოს ბ. აბულაძეს.

გასჭრის თუ არა პალმის ხერხი, მე არ ვიცი, მაგრამ ის-კი ცხადია, რომ თვით პალმები დარწმუნებულნი არიან დაბეზღების ძალაში, რადგან არა ერთხელ უცდიათ და ლელოც გაუტანიათ...

**გან**

— P. S. ერთ ჩემ საუბრის გამო საყვედური მითხრეს, სახელდობრ სტიპენდიების განაწილების კომისიისათვის უსამართლოდ მიკიჟინებია, ვითომც ძლივს დაუნიშნა გლეხის შვილთ სტიპენდიები. როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგე, კომისიის არც ერთ წევრს ფიქრადაც არ მოსვლია მათთვის სტიპენდიების მოსპობა. ვნანობ შეცდომას, თუმცა ჩემმა მოსაუბრემ ჩამადენინა იგი და საყვედურის ღირსიც ის არის.

**გ.**

## პრესსა

რამდენი ყალბი, საარაკო ამბები ვრცელდება რუსეთში კავკასიის შესახებ! უზარ-მაზარი კავკასიონის ქედი დაბალ ღობედ მიაჩნიათ ფეხ-მარდ მწერლებს, ადვილად გადაახტებიან ხოლმე და საქართველოს თავისი უსაზღვრო ფანტაზიის ასპარეზად აქცევენ. მაგალითად „ისტორ. ვესტ.“-ში მოყვანილია მხატვარ მიკეშინის მოგონებანი. მიკეშინს მესამოცე წლებში ხევსურეთში ერთი ხევსური უნახავს, რომელიც „უბით ატარებდა თურმე მისგან მოკლულ მტრის დამარილებულ ხელს.“ მკითხველი ძლივს იკავებს სიცილს. ხევსურეთში ხომ ახლაც ისეთი სიღარიბეა, რომ მარილიც ძვირი საშოვარია იქა. ძველ დროში-კი, მიკეშინს რომ დავუჯეროთ, მტრის გვამის ნაწილებს ამარილებდნენ და უბით დაჰქონდათ.

ესეც ახალი ჭორი, ძველ ჭორების სალაროში მიმატებული.

⁂

„დნეპრ. ვესტ.“-ში ერთი საყურადღებო ამბავია დაბეჭდილი, რომელიც ამტკიცებს, რომ თანასწორობის პრინციპი ძლიერ სუსტად ჰქონიათ შეგნებული თავად-აზნაურობის ზოგიერთ წარმომადგენელთ.

საერობო უფროსს მიკულინს განუხილავს გჟატსკში საქმე აზნაურიშვილ იზიუმსკის შესახებ, რომელსაც ერთი გლეხის გალახვა ბრალდებოდა, დამნაშავედ უცვნია იზიუმსკი და 7 დღით დაპატიმრება გადაუწყვეტია მისთვის. საერობო უფროსთა კრებაზე იზიუმსკის ძმას ხელი არ ჩამოურთმევია მიკულინისათვის და უთქვამს, თქვენი განჩინება ჩემი ძმის შესახებ მთელი თავად-აზნაურობის დამცირებად მიმაჩნია და ამას იქით ვალდებული ვარ, ყოველივე კავშირი მოვსპო თქვენთანაო. მიკულინს უპასუხნია: კანონის წინაშე ყველა სწორია, არც აზნაურიშვილია, არც გლეხიო.

სალტიკოვ-შჩედრინის თქმისა არ იყოს, წარჩინებულ იზუმსკის, ალბად, თავისი სხეული თეთრ ძვლებზე, ხოლო გლეხისა კი—შავ ძვლებზე აგებული ჰგონია.

⁂

შორე-აღმოსავლეთის გაზეთებში ხან-და-ხან შეხვდებით ხოლმე ამბებს იმის შესახებ, თუ როგორ ეკიდებიან იქ ჩინელებს, რანაირად ექცევიან, მაგალითად, რუსი მოხელენი ამ მშვიდობიან და მშრომელ ხალხს.

ცუ-ბა—წადი აქედან, გაეთრიეს ნიშნავს ჩინურად და ამ „ცუ-ბას ხშირად გაიგონებთ ხოლმე რკინის გზის სადგურებზე მანჯურიაში. მოხელეთ ჩინელი რაღაც დაბალ ხარისხის სულდგმულად მიაჩნიათ, კონდუქტორებიც იმას სდევნიან, კასსებთან ატუზული ჟანდარმებიც ნებას არ აძლევენ, რომ სხვებთან რიგში ჩადგეს. ამას წინად ორი ჩინელი, მამა და შვილი, მისულან რკინის გზის სადგურზე გაჩერებულ მატარებელთან და განცვიფრებით ათვალიერებდნენ ორთქლ-მავალს. მამა რაღაცას უხსნიდა თავის პატარა შვილს. ამ დროს მათ თავს დასცემია მემანქანეს ამხანაგი, სილა გაურტყამს უფროსს ჩინელისათვის და ორივე გაუგდია იქიდან.

⁂

„პეტერ. ვედ.“-ი სამართლიანად აღნიშნავს, რომ დროა გაუქმდეს სოფლის ყრილობათა დადგენილებით გადასახლებაო.

ეს სასჯელი—შეზღუდვაა და შებორკვა ადამიანის პიროვნებისა, მოქალაქობრივ თავისუფლების გამაქარვებელი. ვისაც დაკვირვებით შეუსწავლია ჩვენი სოფლის ცხოვრება, კარგად ეცოდინება, რომ გადასახლების შესახებ განჩინებათა მეთაურნი ხშირად პირად ანგარიშების მსახურნი და ბნელეთის მოციქულნი არიან ხოლმე, რომელნიც თავის ნებაზე ატრიალებენ უვიც გლეხებს. ადვილად წარმოიდგენთ, თუ როგორ სარგებლობენ ეს კაცები ამ უფლებით.

## თეატრი

**ქართული წარმოდგენა.** კვირას, 21 სექტემბერს, განახლებულმა დრამატიულმა დასმა ახალის რეჟისორის, პოეტის თ. აკაკის, ხელმძღვანელობით წარმოადგინა ძველი პიესა, დ. ერისთავის ისტორიული დრამა „სამშობლო“. პიესა ცნობილია, საჭირო არ არის იმის შინაარსის გადმოცემა ან იმის ღირსებასა და მნიშვნელობაზე ლაპარაკი. ქართულს რეპერტუარში ეს პიესა უკეთეს პიესად ითვლება, საზოგადოებას იგი ძალიან მოსწონს და უყვარს და ამით აიხსნება, რომ თეატრი მაყურებელით სავსე იყო, ბევრი კიდევაც უკან დაბრუნდა, რადგან ბილეთი ვერ იშოვა.

არტისტებმა „სამშობლო“ თითქმის ისევე წარმოადგინეს, როგორც კვლავ, არც უკეთესად, არც უარესად. თეატრის გამგეთ ერთი ახალი წესი შემოუღიათ და, თუ შემდეგში არ უმტყუნეს ამ წესს, თეატრის საქმე, ეჭვი არ არის, ამით ბევრს მოიგებს. ეს წესი იმაში მდგომარეობს, რომ პიესის მცირე როლებსაც პირველ ხარისხის არტისტებს ათამაშებენ. ასე, „სამშობლოში“ დედაკაცის როლი წარმოადგინა ქ-ნმა გაბუნია-ცაგარელმა, ისრაფილ-ხანისა—გედევანოვმა და სხ., უწინ-კი ამ როლებს მესამე ხარისხის არტისტები თამაშობდნენ და ბევრჯელ ხელს უშლიდნენ რიგიანს ანსამბლს.

ბ-ნმა კ. ყიფიანმა ლეონიძის როლი ჩვეულებრივ კარგად შეასრულა. ქ-ნი ჩხეიძე—ქეთევან, და ბ-ნი მესხი—ლევანი თავიანთ როლებს კარგად, გონივრულად და გრძნობით კითხულობდნენ, მაგრამ ის ქეთევანი და ლევან ხიმშიაშვილი-კი სავსებით ვერ წარმოგვიდგინეს, რომელთა წარმოდგენაც სურდა ავტორს. ამ მხრივ ორივე პატივცემული არტისტი, ცოტა არ იყოს, სუსტობდა და ამის მიზეზი ქ-ნ ჩხეიძის სინაზეა, ხოლო ბ-ნ მესხის—სიმძიმე. ბ-ნ გუნიას უნდა წარმოედგინა შაჰ-აბასის როლი, მაგრამ, ეტყობა, რეპერტუარი შეეშალა და იოანე მრისხანე წარმოგვიდგინა, თუმცა შაჰ-აბასის ენით-კი ლაპარაკობდა. ფაიხოში—ქ-ნი ნებიერიძე თანაგრძნობის მაგიერ რაღაც უსიამოვნო გრძნობას იწვევდა მაყურებლის გულში. ქ-ნ. ნებიერიძეს ამისთანა როლების

---

საგნის შესახებ, რომელიც ასე ძალიან გაინტერესებს თქვენ. აი რასა ბრძანებს ეს პატივცემული ავტორი: „საჭიროა თუ არა, რომ ბავშვი განძრახ შევაჩვიოთ სიცივეს? საჭიროა თუ არა, რომ ჩვენი ბავშვები, როგორც ზამთარში, ისე სიცხე პაპანაქებაში ვატაროთ ხოლმე გადაღეღილი ყელით და ფეხშიშველა, როგორც ამას შოტლანდიელები სჩადიან ხოლმე? საჭიროა თუ არა, წელიწადის ყოველ დროსა და ჟამს ბავშვი ამოვავლოთ ხოლმე ცივ წყალში, როგორც ინგლისელები სჩადიან ხოლმე? მე არ მახსოვს კითხვა, რომლის შესახებაც ასე სხვა და სხვანაირად სჯიდნენ, როგორც ამ საგნის შესახებ სჯიან ჰიგიენისტებიც და დედებიც, ბრძანებს ფლერი.

ერთმა რუსმა მანდილოსანმა, რომელთანაც ამ საგანზედ მქონდა სჯა და ბაასი, მიამბო, რომ ჟენევის ტბის ნაპირას ქრისტეშობისთვეში ვატეხინებდი ხოლმე ყინულს, რომ ჩემი ოთხი ბავშვით, რომლიდანაც ერთი ძუძუთა ბავშვიც იყო, მებანავა ამ ყინულიან წყალშიო. რომ ამგვარ საქციელს სისულელე დავარქვა, ესეც არ შემიძლიან, რადგანაც ეს მანდილოსანი აკვნიდანვე სისტემატიურად აჩვევდა ბავშვებს ამგვარ სიცივეს, მაგრამ ჩვენს მშიშარა დედებს კი ვერ ვურჩევ—ამ მაგალითს მისდიეთ მეთქი, რადგანაც ჭეშმარიტი კეთილ-გონიერება საშუალო გზას დაადგებოდა. რასაკვირველია, უკულმართობა იქნებოდა ერთი მხრივ ბავშვებს არ ვიფარავდეთ სიცივისაგან, მაგრამ მეორე მხრივ კი აღზრდა ბავშვისა ფუფუნებაში და ნაზად, ან როგორც იტყვიან ხოლმე ბამბაში აღზრდა დიდ შეცდომადა და ცოდვადაც უნდა ჩავთვალოთ.

მაგრამ ვეცადნეთ, რომ ერთმანეთისა გავიგოთ რამე: ჩვენ თვალ-წინ გვეხატება სურათი ეს-ეს არის ახლად დაბადებულ უმწეო, სუსტ და უნუგეშო ბავშვისა, რომელზედაც უბრალო სიცივეც კი მოქმედობს და ათრთოლებს ამ საცოდავს არსებას, კრუხივით ფრთებს ქვეშ უნდა ჩავათბუნოთ იგი, რომ მისი სიცოცხლე უზრუნველ ვყოთ და ასეთი ზრუნვა ამისთანა ბავშვის შესახებ ბევრ ხანაც უნდა გრძელდებოდეს. მაგრამ თუ კითხვა ეხება საღს ბავშვს, საღი აგებულობისას, მაშინ-კი რატომაც არ უნდა გავმართოთ ხოლმე ამ სასტიკ, მაგრამ ძარღვების საუკეთესო გასამაგრებელ საშუალებას, როგორიც არის სიცივე.

მაგრამ მაინცა და მაინც დავუგდოთ ყური, თუ რას ამბობს ამის გამო ერთი ინგლისელი თავის პატარა თხზულებაში „აღზრდაზე“.*) იგი სჭექს და ქუხს ფეხშიშველა ტარების მოდის წინააღმდეგ.

აი რას ამბობს ეს შესანიშნავი კაცი: ძალიან ხშირად გაიგონებთ ამისთანა აზრს, რომ სხეული ადამიანისა პირველადვე უნდა შევაჩვიოთ ყველაფერის ატანასაო; მაგრამ ამათ ეს კი ავიწყდებათ, რომ ბევრი ჰხდება მსხვერპლად ამ ჩვეულებისა და თუ ვინმე რაიმე შემთხვევით გადურჩებათ ამ ჩვეულების ბრჭყალებს—ესენიც თავის თავზე გამოსცდიან ხოლმე ამ აღზრდის სისტემის უვარგისობას. ამას ამტკიცებს იმათი უძლური შეხედულობა, მითი ავადმყოფობა და მუდმივი აშლილობა ნერვებისა. ეს გარემოება ძალიან უნდა აფიქრებდეს ჩვენ დაუდევარ მშობლებს და ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდნენ მათი. მდიდრები, დაინახავენ თუ არა სოფლის ნახევარ ტიტველი-კანა ბიჭებს და ფეხ-შიშველა ფეხით მოთამაშეებს წმინდა ჰაერზედ, გაკვირვებულნი ჰხდებიან მითი სისაღით და გაიძახიან, რომ ეს მითი სისაღე სუმბუქი ტანისამოსის ბრალიაო. ამასთანავე ეს კი ავიწდებათ, რომ ეს ბავშვები, რომლებიც დარბიან და დახტიან სოფლის მოედანზედ, მთელი დღე სუნთქავენ წმინდა ჰაერს, სულ მუდამ მოძრაობაში არიან და მათი ძარღვების სისტემა არა ზიანდება ტვინის მუშაობითა. მათი სუმბუქი ტანისამოსი Ꮆი არ არის წყარო სისაღისა, თვით ესენი უამისოთაც ძალიან საღები არიან.

სპენსერს მოჰყავს მაგალითად: კუნძული შოტლანდიის პატარა ჯიშის ცხენები, რომლებიც სცხოვრობენ უფრო ცივ ჰაერზედ, ვინემ სამხრეთ-ინგლისის ცხენები, მაგრამ ესენი ისეთი პატარები არიან, რომ მათ ჯუჯა ცხენებს უწოდებენ; აგრეთვე ითქმის ჩრდილო-შოტლანდიის ცხვრების შესახებაც: ესენიც უფრო პატარა ტანისანი არიან, ვინემ ინგლისური ცხვრები; ლაპლანდელები, ესკიმოსები და „ცეცხლის მიწის“ მცხოვრებლები, რომლებიც მიუხედავად მკაცრი სიცივისა ტიტვლი-კანები დადიან, დარვინის აწერილობით ისეთი მახინჯები; დალმეჭილები არიან, რომ ვერავინ დაიჯერებს, რომ ესენი „ჩვენი მგზავსები იყვნენ.“

აი რა აზრისაა ინგლისელთა აზროვნების მამა-მთავარი შესახებ ამ ფრიად-გავრცელებული ჩვეულებისა. ეხლა ის გამოვარკვიოთ—იქმნება სპენსერი ეკუთვნის იმ მეცნიერთა ჯგუფს, რომელიც ძალიან უფრთხის სიცივეს და კაბინეტის გარეშე ცხვირს არ გამოჰყოფენ ხოლმე. იქმნება ეს შიში სიცივისა იმითია გამოწვეული, რომ თვითონ სპენსერი მგრძნობიარე ადამიანია. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ამ აზრის მიმდევარნი სხვებიც ბევრნი არიან: **სტატისტიკები**, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იანვარში იხოცება ბევრჯელ უფრო მეტი ყმაწვილი, ვინემ მკათათვეში; **საქონლის მომშენებელნი**, რომლებმაც იციან, რომ სიცივე აგვიანებს საქონლის გაშენებას და ამცირებს მათ რიცხვსა და სხვა-და-სხვა.

აი ასეთი შეხედულობისანი არიან, მოწყალეო ხელმწიფევ, აღნიშნული მეცნიერი კაცები და, უეჭველია, მარჯვედ ისარგებლებთ მათი აზრებითა. მხოლოდ ამასა გთხოვთ გადაჭარბებულს ნურას შეურევთ თქვენი შვილის აღზრდის სისტემაში; ნურც გაგიტაცებენ აღნიშნული რუსის მანდილოსანი და სხვები ბევრნი ამისი მგზავსნი, რომლებიც გატაცებით ჰქადაგებენ,—ბავშვები მივაჩვიოთ სიცივესა და მის სასტიკ პირობებს და არც იმათი დაიჯეროთ რამე, რომლებიც ურჩევენ ფუფუნებაში შვილების გაზრდას. თქვენ საშუალო გზას დაადექით და თვით ბუნება გიხელმძღვანელებთ ამაში. წელიწადს ოთხი დრო აქვს და ოთხივე სხვა-და-სხვა ნაირად შემკობილი და სხვა-და-სხვა ნაირად განაწილებული—თქვენი აღზრდაც გარმონიულად შეუფარდეთ სწორედ ამ წელიწადის დროს: გაზაფხულზე მოიქეცით გაზაფხულისავით—ააყვავეთ და დაამშვენეთ თქვენი ემიკო გაზაფხულის ყვავილივით, შეუკერეთ მას ამ დროის ტან-საცმელი, რომ არცა სციოდეს და არცა სცხელოდეს; ზაფხულში გაფრთხილდით, რომ სიცივემ არ დააჭკნოს და არ გაახმოს თქვენი „მცენარე“, მორწყეთ იგი და მოუარეთ მას; ეცადენით, რომ შემოდგომამაც თავისი ხილ-ხულით არ დააზიანოს მისი აგებულება და ზამთარმა არ დააზროს იგი უდროვოდ და არ დააზიანოს ეგ თქვენი პატარა თაიგული, ეგ მზე და მთვარე ჩვენი მომავალისა.

**ალ. ნათაძე.**

---

*) გერბერტ სპენსერზე ლაპარაკობს პატივცემული ავტორი.

ასრულება სრულად არ შეუძლიან. საზოგადოთ-კი პიესამ საკმაოდ მწყობრად ჩაიარა, საზოგადოებამ არტისტები მრავლჯერ ალტაცებით გამოიწვია, ხოლო წარმოდგენის ბოლოს თვით რეჟისსორი თ. აკაკიც გამოიწვია და ხანგრძლივ ტაშის ცემით მიეგება.

**ვ. ს—ი**

—

**ოპერა.** 21 სექტემბერს „რომეო და ჯულიეტა“ დადგეს. გუნოს პირმშო „ფაუსტია“, ეს უკვდავი მელოდიით სავსე ოპერა. მეორე მისი ნაწარმოები „რომეო და ჯულიეტა“-ა, მსგავსი პირველისა თავის ნაზი მუსიკით, თუმცა პირველს ბევრით ჩამოუვარდება. უმთავრესს პარტიას (რომეოს) მღეროდა ერთხელ გამოჩენილი ხმის პატრონი და საუკეთესო არტისტი ფიგნერი; მაგრამ ახლა ფიგნერი ხმით აჩრდილია იმ ფიგნერისა; თამაშობით კი შეუდარებელი არტისტია. ამასთან ფიგნერს განსაკუთრებული თვისება აქვს: მსმენელს რომ ჰგონია, ეს არის, ხმა შეაწყდებაო, ფიგნერი სრულიად შესცვლის ხოლმე ჰანგს და ისეთის რიხით ასწევს, რომ გაოცებული მსმენელი უნებურად ტაშს უკრავს. სხვა არტისტი ამისთანა დაშავებულ ხმით ვერც კი გაჰბედავდა სცენაზე პასუხსაგებ პარტიაში გამოსვლას, მაგრამ ფიგნერი არამც თუ ჰბედავს, ტაშითაც იჯილდოებს თავის სიმღერას. ამისათვის ახლა ფიგნერს თვალთმაქცს უწოდებენ. ოპერაში უმთავრესი პარტია ჯულიეტასია. ამ პარტიას მღეროდა ქ. არციბაშევი. სუსტი იყო ქ. არციბაშევი. ლამაზი ვალსი პირველ მოქმედებაში უმნიშვნელოდ დარჩა. კარგი „ბასი“ ჰყავსბ-ნ ფიგნერს სანგურსკი, რომელიც მღეროდა მამა ლორანის პარტიას. სუფთა, სასიამოვნო მოსასმენი ხმა აქვს და ცოდნითაც აასრულა თავის მოკლე პარტია. დანარჩენნი არ აფუჭებდნენ ერთიან შთაბეჭდილებას.

—

პარიზის ერთ თეატრისთვის ახალს, მეტად საინტერესო, პიესას ამზადებენ თურმე. სახელად ამ პიესას „მადამ როლან“-ი ჰქვია და შინაარსი დიდ რევოლიუციის დროდან არის აღებული. პიესაში მშვენივრადაა თურმე აწერილი რევოლიუციის ამბები. ბევრი სცენა დიდად საყურადღებოა.

—

კალიფორნიაში (ამერიკა) ერთ მდიდარ ამერიკელს უილიამ გირსტს განუზრახავს ძველებურ ბერძნულ თეატრის დაარსება. გირსტი მილიონერია, გაზეთების გამომცემელი ნიუ-იორკსა, ჩიკაგოსა და სან-ფრანცისკოში. თეატრს მილიონერი კალიფორნიის უნივერსიტეტთან აარსებს. პიესები სწორედ ისე უნდა წარმოადგინონ, როგორც ძველად საბერძნეთში ადგენდნენ.

—

„მონნა ვანა“-ს ავტორს მეტერლინკს ახალი პიესა დაუწერია, სახელად „სასწაული წმ. ანტონისა“. მოქმედება ერთ პატარა სოფელში სწარმოებს, საფრანგეთს, სადაც სულსა ლევს მდიდარი, 70 წლის გაუთხოვარი ქალი გორტენზია. იმ დროს, როდესაც გორტენზია სიკვდილს ებრძვის, მეზობელ ოთახში მომავალი მემკვიდრენი არხეინად ქეიფობენ ადგილობრივ მღვდელთან. მოულოდნელად ოთახში შედის მაწანწალა, მათხოვარი. როდესაც ვინაობა ჰკითხეს, მაწანწალამ სთქვა, მე წმინდა ანტონი ვარ, პადუანელი. მოვედი გორტენზიას გასაცოცხლებლადაო. მემკვიდრეებს უნდათ გააგდონ დაუპატიჟებელი სტუმარი, რომელიც, როგორც გამოირკვა, სულით ავადმყოფი ყოფილა, მაგრამ „სტუმარი“ არ მიდის და განუწყვეტლივ გაიძახის: უნდა მკვდრეთით ავადგინო გორტენზიაო. ბოლოს გიჟი სულთმობრძავის ოთახში შეიყვანეს, და სასწაული მართლაც მოხდა: მოხუცი ქალი ფეხზე წამოდგა, სათვალეები მოძებნა და სანთელი ჩააქრო. თან ლანძღვა დაუწყო გიჟს, მაგრამ ამ დროს ენა ჩაუვარდა და დამუნჯდა. გორტენზიას ოჯახმა დაუძახა პოლიციას, რომელმაც სულით ავადმყოფი დააპატიმრა, სწორედ ამ დროს გორტენზია ხელახლა კვდება.

ეს არის და ეს ახალი პიესა. კრიტიკოსები თავებს იმტვრევენ, მაგრამ მაინც ვერ გაუგიათ, რის თქმა უნდოდა ამ პიესით მეტერლინკს.

—

საფრანგეთში 9 სექტემბერს გარდაიცვალა ოდესღაც მეტად შესანიშნავი არტისტი, 78 წლის ლუი-არსენ დელონე. განსვენებული შესანიშნავი ჟენ პრემიერი იყო. დაიბადა დელონე 1826 წელს პარიზში. მამა იმისი ღვინის ვაჭარი იყო. დელონეს პატარაობითვე ძალიან უყვარდა თეატრი. ბოლოს, მამის სურვილის წინააღმდეგ, ახალგაზრდა კაცი პარიზის კონსერვატორიის დრამატიულ განყოფილებაში შევიდა. მუშაობა დაიწყო „ოდეონ“-ის თეატრში, სადაც მცირე სასყიდელი ეძლეოდა, თვეში 25 მანეთი. მეორე წელიწადს 30 გაუხადეს, ხოლო მესამე—40 მანეთი. ბოლოს სახელი ისე გაითქვა, რომ 1848 წელს საფრანგეთის პირველმა თეატრმა „კომედი ფრანსეზ“-მა მიიწვია. კრიტიკამ დელონე მალე პირველ ხარისხოვან არტისტად გამოაცხადა. 60 წლამდე დელონე დაუცხრომლად მუშაობდა და მრავალი ახალი როლი შექმნა. 1883 წელს მიიღო ორდენი საპატიო ლეგიონისა. დელონე პროფესორად იყო პარიზის კონსერვატორიაში და საუკეთესო მასწავლებლადაც ითვლებოდა. პროფესორმა ბევრი ნიჭიერი გამოჩენილი მსახიობი მოამზადა. 1887 წელს დელონემ სამსახურს თავი დაანება და მას შემდეგ ვერსალში სცხოვრობდა საკუთარ სახლში.

—

ვარშავის სახალხო თეატრში მეტად მოსწონებიათ კამინსკის პიესა „საქორწინოდ მოგზაურობა ეშმაკისა“. რამდენიმე მოქმედება ამ პიესისა ჯოჯოხეთში სწარმოებს. შინაარსი პიესისა ის არის, რომ ჯოჯოხეთის მეფე ბელიალი დედამიწაზე მოდის სიყვარულისთვის, მაგრამ ვერსად ჰპოვა ეს სიყვარული და უკან ბრუნდება, ძალზე გაჯავრებული და გაბრაზებული. პიესის წარმოდგენის დროს სცენაზე გამოდიან მრავლად ეშმაკები, ტარტაროზები, ქაჯები, ალები: ცეკვაობენ, თამაშობენ, მღერიან, კუპლეტებს ამბობენ და სხ.

## დაბა-სოფლები

—

**ს. გუგეული** (რაჭა). დიდის იმედით მოელოდნენ სოფლელნი იარმუკის დაწყებას. ბლომად გვეწვივნენ ვაჭრები სხვა-და-სხვა კუთხიდან. სამს სექტემბერს აავრიალეს ბაირაღი ვაჭრობის დაწყების ნიშნად და კიდეც გაჩაღდა ბაზარი. იარმუკის დაწყებას ყველა სიხარულით ეგებებოდა. მაგრამ ისე გათავდა იარმუკა, რომ სარგებლობა არ უნახავთ არც ვაჭრებს და არც სოფლელ ხალხს. მიზეზი ის იყო, რომ ვაჭრობამ მხოლოდ შვიდ დღეს გასტანა, მეორეც ცუდი ამინდები იდგა: მისვლა-მოსვლა შეუძლებელი იყო, ვაჭრები კარვებიდან ვერ გამოდიოდნენ. ვინც შედიოდა სამიკიტნოში ფეხიზელი, აღარ გამოდიოდა. გამოსვლისთანავე ხმალ-ხანჯლის ტრიალი არ შესწყდებოდა, რომ პოლიციიდან წესიერება არ ყოფილიყო რიგიანად დაცული. გაიმართა აგრეთვე ცხენის ჭენება, რომელმაც იმსხვერპლა ერთი კაცი, ნესტორ გოცირიძე. გოცირიძე ნასვამი იყო, უშალეს, მაგრამ არ დაიშალა, გაჭენებულს ცხენს თავი ვეღარ შეუკავა და ხიდის კურტანზე გადაუშვა, რის გამო ცხენიცა და კაციც სასიკვდილოდ დაშავდნენ.

ჩვენსკენ ეხლა კარგი ამინდებია, თუმცა წარსულ კვირეების უამინდობამ რთველი და სიმინდობა ერთად შეგვახვედრა. სიმინდის მოსავალი კარგია. ღვინო ზოგს ცოტა მოსდის და ზოგი მთლად უღვინოდ რჩება.

**ი—ძე**

—

**უჯარმა** (გარეთ-კახეთი). ჩვენმა საზოგადოებამ 1900 წელს სთხოვა საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს დახმარება უჯარმის სკოლის შენობის ასაშენებლად. თხოვნა შეიწყნარა საბჭომ და ამ დღეებში ამის შესახებ ადგილობრივ მღვდელს მ. მჭედლიძეს მოუვიდა მოწერილობა. საბჭოს უკისრნია ნახევარის ხარჯის გადახდა. მოწერილობის შინაარსი მ. დ. მჭედლიძემ გადასცა საზოგადოებას, რომელმაც ეს უკანასკნელი ძალიან გულცივად მიიღო: „ეს რა შეცდომა მოგვსვლია—ამბობდნენ გლეხები:—რაში გვეჭირვებოდა ახალი შენობაო.“

დადგა შემოდგომა და ქურდ-ბაცაცებმაც გამოიღვიძეს. ამ ცოტა ხანში აქაურ მეპურის დ. ნ—შვილის ფულის ყუთსაც მიულოცეს და კიდეც ამოაცალიერეს; დაკარგულმა ფულმა ნიორწყალა დალია. არც უჯარმის ფოსტის სადგური დასტოვეს უყურადღებოდ; სადგურისავე მოსამსახურეშ თ. სკგოიანცმა დაჰკარგა თავის ოთახიდან 31 მ.

**ნ. ბარძიმაშვილი**

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 **სექტემბერი**

**პეტერბურგი.** იმპერატორების ბრძანებით, გრაფებმა ლამზდორფმა და გოლუხოვსკიმ რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებს კონსტანტინეპოლში გაუგზავნეს შემდეგი დეპეშა: „ამ ბოლოს დროს თქვენ დაგევალათ გამცნოთ ოსმალეთისთვის, რომ რუსეთი და ავსტრო-ჰუნგრეთი მხნედ განაგრძობენ მეცადინეობას მშვიდობიანობის დასამყარებლად. ამასთან მტკიცედ ადგანან ეს სახელმწიფონი ადრევე შემუშავებულ პროგრამას, თუმცა ამ პროგრამის განხორციელებას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა. მართლაც და ერთის მხრივ, სარევოლიუციო კომიტეტები უწესოებებს ახდენდნენ და ამით ნებას არ აძლევდნენ ქრისტიან მცხოვრებთ მხარი მიეცათ რეფორმების განხორციელებისთვის სამს ვილაეტში, მეორეს მხრივ—ბრწყინვალე პორტას მოხელენი, რომელთაც მიენდოთ საქმის განხორციელება, საზოგადოდ ნაკლებ მხნეობას იჩენდნენ და არა სცდილობდნენ სავსებით იმ რეფორმების შემოღებას, რომელიც პორტამ მიიღო და რომელსაც აზრადა აქვს მშვიდობიანობის დამყარება. ორივე სახელმწიფო შეთანხმდა კონტროლისა და ზედამხედველობის უფრო ნამდვილ საშუალებათა შესახებ, ამიტომ მალე მიიღებთ ამ საქმის დაწვრილებით ინსტრუქციებს. ორივე სახელმწიფო სცნობს, რომ ბრწყინვალე პორტას უფლება აქვს ჩააქროს საავტატიო კომიტეტების მიერ გამოწვეული ამბოხებანი, მაგრამ ამავე დროს ორივე სახელმწიფო სწუხს, რომ ამბოხების მოსპობის დროს სისასტიკემა და ძალ-მომრეობამ იჩინა თავი, რომლისაგანაც მშვიდობიანი მცხოვრებნი დაიტანჯნენ. ამის გამო რუსეთი და ავსტრო-ჰუნგრეთი საჭიროდ სცნობენ დაეხმარნენ ამ საწყალობელ მოვლენათა მსხვერპლებს. ზემოდ დასახელებულ ინსტრუქციებში დაწვრილებით აღნიშნული იქნება, როგორ უნდა უშველოთ ცხოვრების სახსარს მოკლებულ მკვიდრთ, გაუადვილოთ იმათ სახლში დაბრუნება და იზრუნოთ დამწვარ სოფლებისა, ეკკლესიებისა და სკოლების აღდგენისათვის. რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობებს იმედი აქვთ, რომ იმათ მეცადინეობას სრული მშვიდობიანობა მოჰყვება ამბოხებიგან დაზარალებულს ოლქებში. ამასთან დარწმუნებულნი არიან, რომ იმათ მიუდგომელ რჩევას მიიღებენ ისინი, ვისაც იგი შეეხება“.

**ბერლინი.** იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ბერლინის ოქმზე ხელი უწერიათ, მიურცშტეგში მომხდარს გადაწყვეტილებას აცნობებენ.

**ვენა.** საშეფო მატარებელი ხელმწიფეებით, ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდითა და ამალით 20 სექტემბერს მოვიდა. ორივ იმპერატორი გულითადად გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

**სოფია.** ორი ფაქტი აშფოთებს მთავრობას—სამხედრო სამზადისი ოსმალეთისა, რომლის მხედრობა ყოველს წუთს ელოდება ომის დაწყებას, და განუწყვეტელი მოსვლა მშიერ გადმოხვეწილთა.—ნაჩევიჩი 20 სექტემბერს წავიდა კონსტანტინეპოლს, რომ მოახერხოს რამე და ისევ გამოაკეთოს გამწვავებული დამოკიდებულება, რომელიც რაზლოგსა, ბანსკოსა და კრატოვში ახალ რაზმთა გამოჩენამ გამოიწვია.—მთავრობამ ბრძანება გასცა შემწეობა აღმოუჩინონ გადახვეწილთ; ოლქის საბჭოებმა რამდენიმე ფული გადასდეს ამისთვის, კერძო ქველ-მოქმედებმაც იჩინა თავი. სლავიანთა საზოგადოებამ მიჰმართა ხალხს და შემწეობა სთხოვა.—ოსმალეთის უკანასკნელმა ნოტამ დიდ სახელმწიფოთა მიმართ, რომ უკანასკნელად ვთხოულობ ბოლგარიის მთავრობამ რაზმების გადმოსვლა მოსპოსო, აქ ყველანი მეტად შეაწუხა.

**დარმშტადტი.** ხელმწიფე-იმპერატორი დარმშტადტში 21 სექტემბერს მობრძანდა.

**პარიზი.** კაბინეტის წევრებმა გადასწყვიტეს, საფრანგეთის მოქმედება მაროკოში შეზღუდონ. საფრანგეთი ეცდება მხოლოდ, რომ ალჟირის საზღვარზე ბოლო მოუღოს მაროკოს ყაჩაღების თავდასხმას.

**მაინის ფრანკფურტი.** 19 სექტემბერს აღტჰაუზის მახლობლად, ჰუნგრეთში, ლიანდაგს გადასცდა ორთქლმავალი და 6 ვაგონი ზემლინიდან მომავალი მატარებლისა. მეორე მატარებელს „ორიანტ-ექსპრესს“-ში, რომელიც პირველს მისდევდა, ისხდნენ პრინცესსა კლემენტინა და ბოლგარიის მთავრის ფერდინანდის შვილები. რელსები აღებულია 60 მეტრის მანძილზე. მგზავრები ამ ადგილს ქვეითად მიდიან მეორე მატარებლამდე.

**ეკატერინოსლავი.** ალმაზის საზოგადოების მღვიმეში ქვა ჩამოწვა და მოჰკლა ექვსი მუშა.

**ტარუსი.** საერობო კრებამ გადასწყვიტა იმ დრომდის, როდესაც ბატონყმობის გადავარდნიდან 50 წელიწადი შესრულდება, შეადგინოს ფონდი იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახელობაზე. ამ ფონდის ფული განათლების საქმეს მოხმარდება.

**ბუატსკი.** 19 სექტემბერს, სიჩევის მაზრაში გასაძარცვავად მოჰკლეს საადგილმამულო უწყების გადასახადთა მომკრები დოლუკოვსკი. ორჯელ ესროლეს. დოლუკოვსკის თან 17,000 მანეთი ჰქონდა. მკვლელნი დაიმალნენ.

**ტამბოვი.** აკურთხეს სამუსიკო სასწავლებლის შენობა, კერძო შემოწირულებით აგებული.

**კავკავი.** აკურთხეს ორ კლასიანი საეკლესიო სკოლა.

**ირკუტსკი.** დაბრუნდა ლეიტენანტი მატისენი. ბარონ ტოლზე არავერი ამბავი არ არის და არც შეიძლება იყოს ნოემბრამდე.

**სუმი.** ხარკოვში გამოფენის დასათვალიერებლად წავიდნენ გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლის მოსწავლენი. ექსკურსიაში 200 კაცია.

**პეტროზავოდსკი.** დაარსდა სასოსტატო სემინარია.

**ოდესა.** დაარსდა საპედაგოგო უმაღლესი კურსები. ეს კურსები პირველია სამხრეთ რუსეთში.

**მიურცშტეგი.** მინისტრთა ბჭობის დროს გამოირკვა სრული ერთ-აზროვნება ყველა საკითხებში, რომელნიც-კი პოლიტიკურს მდგომარეობას ეხებიან.

**სოფია.** დემირ-კაპთან შეტაკება მოხდა ოსმალეთის ცხენოსან ჯარსა და ბოლგარიის ჯარს შორის. მოკვდა 11 ბოლგარი და 20 ოსმალო.—მესამბოხეთა ბანაკიდან იუწყებიან, რომ გუშინ ცხარე ბრძოლა იყო სულთან-გაროსა და ბაჩევთანაო. ბანისკო მთლად ცეცხლშია.—ცონჩევისა და იანკოვის გამარჯვების შემდეგ ბოლიცასა და გოდლევთან, ამათ რაზმებს ოსმალეთის ჯარი შემოერტყა.—სმაკოვში მოელიან გაძარცულ და და გადამწვარ ბელიციდან გამოქცეულებს 1000 კაცს.—გეშოვი და დანევი, აგრეთვე ოპოზიციის ორი სხვა მეთაური პროვინციაში წავიდნენ საარჩევნო ბრძოლისათვის. მანამდე ამათ აუდიენცია მოსთხოვეს მთავარს, მაგრამ უარი მიიღეს. შინაგან საქმეთა მინისტრიც ხელ-ახლა შეუდგა საარჩევნო მოგზაურობას.

**ბელგრადი.** ახალი კაბინეტი: გენერალი გრუიჩი—მინისტრ-პრეზიდენტი, ანდრა ნიკოლიჩი—გარეშე საქმეთა მინისტრი, სტოიან პროტიჩი—შინაგან საქმეთა, ნიკოლა ნიკოლიჩი—იუსტიციისა, ლიუბა სტოიანოვიჩი—სარწმუნოებისა, რადვანოვიჩი—ფინანსთა, ვლადა ტოდოროვიჩი—საზოგადო სამუშაოებისა, პეტკოვიჩი—ვაჭრობისა და პოლკოვნიკი აწნევიჩი—სამხედრო მინისტრი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

# განცხადებანი

—

პ. ი. ავსარქისოვის

**ბაღში**

იყიდება ხეხილები როგორც საზღვარგარეთისა, ისე აქაურ ჯიშისა. ფასები შემდეგია: ერთის წლის ხე—20 კაპ., ასი ცალი—15 მანეთი; ორი წლის ხე—35 კაპ., ასი ცალი—25 მან. ადრესი: უბრალო წერილებისთვის—სადგური სკრა ამიერ-კავკასიის გზა; ფულისა და დაზღვეულ წერილებისთვის—გორი, პ. ი. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უსასყიდლოთ გეგზავნებათ. (10—143—2)

**ქუთაისში**

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

**სიბრძნე-სიცრუე**

**ახალი გამოცემა**

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში. (10—6)